



„ბალის ფრინველთა საათი“ საქართველოში - ფრინველებზე დაკვირვების კამპანია მოსწავლეებისათვის

შესავალი

„ბალის ფრინველთა საათი“ ფრინველებზე დაკვირვების კამპანიაა, რომელიც, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს საჯარო სკოლებში ტარდება ყოველი წლის 22 მაისს, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს. კამპანია ხორციელდება გერმანულ-ქართული ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) პროექტის „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა“ ფარგლებში, სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურში მომუშავე საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM) გერმანელი ექსპერტის მხარდაჭერით. კამპანიაში ქვეყნის რეგიონების მონაწილეობას უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რეგიონული წარმომადგენლობების მეშვეობით.


„ვაკვირდებოდი ფრინველებს, ვუსმენდი და ვტკებოდი. ვფიქრობდი, თუ რა ლამაზია ეს ქვეყანა ბუნებით, ფრინველებით და რა უფერული გახდებოდა მათ გარეშე“. ნათია მსუქნიშვილი, წინანდლის საჯარო სკოლა, 2009.

მიზნები

„ბალის ფრინველთა საათი“ მიზნად ისახავს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვით საკითხებზე, რათა აღქმულ იქნას ბუნებრივი გარემოს მდგომარეობასა და ადამიანის კეთილდღეობას შორის არსებული მჭიდრო კავშირი და მისი მშენებლობა. კამპანია კონცენტრირებულია ფართოდ გავრცელებულ ბალის ფრინველებზე, რომელთა არსებობა და რაოდენობა კარგი ინდიკატორია გარემოს მდგომარეობის შეფასებისათვის.

კამპანიის კონკრეტული ამოცანებია:

- საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბალის ფრინველების შესახებ ცოდნის გაღრმავება
- ახალგაზრდებში ადგილობრივი ფაუნის უკეთ შეცნობის ინტერესის გაღვივება ბუნებასთან მათი დაახლოვების მიზნით
- ფრინველებზე დაკვირვების, ე.წ. „ბერდვოჩინგის“ პოპულარიზაცია საქართველოში
- კამპანიაში მონაწილეთა დაკვირვებებზე დაყრდნობით ფრინველთა მოცემული სახეობების გავრცელებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება



● - ფრინველებზე დაკვირვების ადგილები

„მოცემულ დავალებას ბავშვები ხალისითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. მსგავსი ღონისძიებები თუ აქციები მოსწავლეებს ნამდვილად გაუღრმავებს ბუნებისადმი ინტერესსა და სიყვარულს“. ცირა ბერეკაშვილი, ბიოლოგიის მასწავლებელი, წყალტუბოს სკოლა „ოცნება“. 2009.



Centre for International Migration and Development
a joint operation of GTZ and the German Federal Employment Agency



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო



კამპანიის განხორციელება

კამპანიის მომზადებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევენ მასწავლებლები, რომლებსაც, ღონისძიებამდე ბევრად ადრე, უტარდებათ შესაბამისი ტრენინგი და გადაეცემათ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სასწავლო მასალა (ბროშურები, პლაკატი და ა.შ.). აღნიშნული მასალა მასწავლებლებს საშუალებას აძლევს საფუძვლიანად გააცნონ მოსწავლეებს ბალის ფრინველთა თავისებურებები, რის შედეგადაც მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ფრინველების იდენტიფიცირება და შესაბამისად, კამპანიაში წარმატებით მონაწილეობა. 22 მაისს ხდება ფრინველებზე დაკვირვება და მათი აღრიცხვა. შევსებული აღრიცხვის ფურცლები, მონაცემების შემდგომი დამუშავებისათვის, იგზავნება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. ეს მონაცემები, მეტნაკლები სიზუსტით, გვაძლევს ინფორმაციას ბალის ფრინველთა რაოდენობისა და ქვეყნის მასშტაბით მათი გავრცელების შესახებ. ამდენად, ივარაუდება, რომ კამპანია გარკვეულ წვლილს შეიტანს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის მუშაობაშიც.

ფრინველებზე დაკვირვების შედეგები გამოიყენება ბროშურის სახით და ვრცელდება საჯარო სკოლებში. ეს, ერთის მხრივ, ხელს უწყობს კამპანიაში უკვე ჩართული მოსწავლეების შემდგომი მონაწილეობის ნახალისებას, ხოლო, მეორეს მხრივ, სხვა, არამონაწილე სკოლებისა და მოსწავლეების დაინტერესებას „ბალის ფრინველთა საათით“.

*”თითოეული მოსწავლე დიდი მონაწილეობით ჩაერთო ღონისძიებაში. მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარების პერიოდში მოსწავლეები დაინტერესდნენ მათ მხარეში გავრცელებული ფრინველებით. მსგავსი ღონისძიებები საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, მეტად შეიყვარონ ფრინველები, გაეცნონ მათ მხარეში გავრცელებულ ფრინველთა მრავალფეროვნებას და გახდნენ ფრინველების მეგობრები. ზრუნვა ჩვენი ბუნების დაცვისათვის, ფრინველთა მრავალფეროვნების დაცვისათვის არა მარტო მოსწავლეების, არამედ თითოეული მოქალაქის საქმედ უნდა იქცეს და ეს უნდა ხდებოდეს არა სიტყვიერი გამოთქმებით, არამედ საქმით.”
ლამარა მირცხულავა, აფხაზეთის მე-12 საჯარო სკოლა, 2009.*

კამპანია 2009 წელს

კამპანია „ბალის ფრინველთა საათი“ პირველად 2009 წლის გაზაფხულზე ჩატარდა. სკოლის პედაგოგებისათვის ტრენინგები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ/CIM) წარმომადგენლებმა ჩაატარეს. რეგიონებში ორგანიზაციული საკითხები უზრუნველყოფილი იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეგიონული წარმომადგენლობებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მიერ. კამპანიაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 180-ზე მეტმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა.

კამპანიის შედეგების მიხედვით, 2009 წელს დაახლოებით 3000-მა მონაწილემ აღრიცხა 138 000-ზე მეტი ბალის ფრინველი. ყველაზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა სახლის ბელურა (22271), ქალაქის მერცხალი (19132) და შაშვი (11767), ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით - ჩვეულებრივი კირკიტა (311), დიდი შავთავა თოლია (376) და კულუმბური (650).

„ბალის ფრინველთა საათმა“ ნამდვილად შეძლო მონაწილეთა მოტივირება, უკეთ შეიცნონ მათ გარშემო არსებული ბუნება. ამის დასტურია მონაწილეთა სიტყვიერი თუ წერილობითი შეფასებები. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს ფრინველებზე დაკვირვების ამ კამპანიას, სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო წელიწადად გამოცხადებული 2010 წლისათვის იგეგმება.

*”ღონისძიებამ დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეებში. გადავწყვიტეთ, რომ ასეთი ღონისძიება სხვა დროსაც გავაკეთოთ”.
ციცინო სირაძე, ბიოლოგიის მასწავლებელი, ჩოხატაურის 1 საჯარო სკოლა, 2009.*



Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა, სამხრეთ კავკასია
გულუას 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-201828

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური
გულუას 6, თბილისი 0114,
საქართველო
ტელ: +995-32-727231

ტექსტი: გიორგი ლეხანიძე
ფოტოები: © GTZ
დიზაინი: © GTZ
ბეჭდვა: პოლარის პრინტი, თბილისი

www.biomonitoring.moe.gov.ge
www.moe.gov.ge